პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

,,საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს შორის 2015 წლის 02 ივლისს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიდისთავში მდებარე შენობა-ნაგებობასა და მასზე დამაგრებულ 315.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.09.25.050) გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების მოქმედების ვადის 2047 წლის 01 იანვრამდე გახანგრძლივების თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ".

საქართველოს ორგანული კანონის ,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტების, 122-ე მუხლის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 242-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს

1. მიეცეს თანხმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ,,საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს შორის 2015 წლის 02 ივლისს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიდისთავში მდებარე შენობა-ნაგებობასა და მასზე დამაგრებულ 315.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.09.25.050) გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების მოქმედების ვადის 2047 წლის 01 იანვრამდე გახანგრძლივების თაობაზე.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონით დადგენილი წესით 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტის ავტორი:

ვალერი ყაჭეიშვილი